"ვამტკიცებ"
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი                    გ. გიორგაძე

"-13-" ----04---------------------------- 2022 წ.

საქართველოს ქალთა 79-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა
5 - 15 ივნისი, 2022 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:
   საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.
2. ღონისძიების მართვა:
   საჭიროების შემთხვევაში ტურნირის დებულებაში ცვლილებების შეტანის უფლება აქვს ღონისძიებების სუპერვაიზერს (ღონისძიებების მართვის ხელმძღვანელი).
3. ჩატარების ვადები და ადგილი:
   05.06-15.06.2022 წ. ქ. თბილისი, ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლე.
4. სისტემა და დროის კონტროლი:
   ტურნირი გაიმართება ფიდე-ს წესებით, წრიული სისტემით, 10 მონაწილეს შორის. თითოეულს 90 წუთი 40 სვლაზე, შემდეგ 30 წუთი პარტიის ბოლომდე, პირველი სვლიდან ბოლომდე, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით.
5. განრიგი:

| ტური | დღე | საათი |
|---|---|---|
| ტექნიკური შეხვედრა | 5 ივნისი | 15.00 |
| გახსნა | 6 ივნისი | 14.30 |
| I ტური | 6 ივნისი | 15.00 |
| II ტური | 7 ივნისი | 15.00 |
| III ტური | 8 ივნისი | 15.00 |
| IV ტური | 9 ივნისი | 15.00 |
| V ტური | 10 ივნისი | 15.00 |
| დასვენების დღე | 11 ივნისი | |
| VI ტური | 12 ივნისი | 15.00 |
| VII ტური | 13 ივნისი | 15.00 |
| VIII ტური | 14 ივნისი | 15.00 |
| IX ტური | 15 ივნისი | 15.00 |
| დახურვა | 15 ივნისი | 20.00 |

6. მონაწილენი:
   უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება აქვთ:
   1. საქართველოს ქალთა 78-ე ჩემპიონატის 1-3 პრიზიორებს;
   2. საქართველოს 2021 წლის ქალთა ეროვნული I ნაკრების წევრებს;
   3. საქართველოს 2021 წლის ჩემპიონს 20 წლამდე გოგონათა შორის;
   4. საქართველოს ქალთა 79-ე ჩემპიონატის I ლიგაში I-II ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს;

   ა) უმაღლესი ლიგის ვაკანტური ადგილები შეივსება I ლიგიდან მომდევნო ადგილზე გასული მოჭადრაკით;
   ბ) უმაღლესი ლიგის მონაწილეებმა თავიანთი მონაწილეობა უნდა დაადასტურონ არაუგვიანეს 2022 წლის 20 მაისისა.
7. კვალიფიკაცია:
   ტურნირში დაითვლება ფიდე-ს რეიტინგი.
8. თაი-ბრეიქი:
   გამარჯვებულები გამოვლინდებიან ქულათა მეტი რაოდენობის მიხედვით. თანაბარი ქულების შემთხვევაში:
   1. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
   2. მოგებების მეტი რაოდენობა;

3. ურთიერთშორის შეხვედრა;
4. კოიას სისტემა.
5. თუ ოთხივე მაჩვენებელი თანაბარია, ჩატარდება დამატებითი მატჩები (იხ. დანართი 1)

8. გამარჯვებულნი:
- 1 ადგილზე გასული მოჭადრაკე დასახელდება საქართველოს ქალთა ნაკრების წევრობის კანდიდატად;
- 1-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაფინანსდებიან 2022 წლის ევროპის ქალთა ჩემპიონატზე;
- 1-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაიშვებიან 2023 წლის საქართველოს ქალთა მე - 80 ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.

9. დაჯილდოება:
- 1-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით და დიპლომებით;
- 1-10 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან ფულადი პრიზებით.

საპრიზო ფონდი: 25000 ლარი.

| ადგ. | პრიზი |
|---|---|
| 1 | 8000 ლარი |
| 2 | 6000 ლარი |
| 3 | 4000 ლარი |
| 4 | 2500 ლარი |
| 5 | 1700 ლარი |
| 6 | 1100 ლარი |
| 7 | 700 ლარი |
| 8 | 500 ლარი |
| 9 | 300 ლარი |
| 10 | 200 ლარი |

პრიზები არ იყოფა.

ყველა პრიზი დაიბეგრება საქართველოში მოქმედი ფინანსური კანონმდებლობის შესაბამისად.

10. საერთო წესები:
- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.
- მონაწილის ტურნირიდან არასაპატიო მიზეზით გათიშვის შემთხვევაში გათვალისწინებულია სანქციები საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების №10. 20/01/2014 წ. შესაბამისად (იხ. დანართი 2).
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში.
  მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

11. მონაწილეების ვალდებულებები:
- კოვიდ - 19 -თან დაკავშირებით მონაწილეთა, მსაჯთა და ორგანიზატორთა ვალდებულებები განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტეროტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.
- დაესწრონ ტურნირთან დაკავშირებულ ყველა ოფიციალურ ღონისძიებას, მათ შორის ტექნიკურ შეხვედრას და გახსნა-დახურვის ცერემონიას.
- მონაწილე ვალდებულია დაექვემდებაროს "Anti-Cheating" შემოწმებას.
- მედია აქტივობები: ტექნიკური შეხვედრის დღეს და ყოველი პარტიის შემდეგ, ტურნირის მონაწილეები ორგანიზატორის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულნი არიან მიიღონ მონაწილეობა მოკლე ინტერვიუებში.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - სალომე სირაძე